პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ოთხშაბათი, 17 ივნისი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 133 (831) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## სპორტი ბანაკში.

სპორტის განვითარებას წი- ელ არმიაში დიდი მნიშვნე- ობა აქვს. ფიზკულტურა ამა- რებს წითელი მეომრის სხეუ- ს, ანვითარებს მის კუნთებს, ანსაღებს მას, აჩვევს სისწრა- ეს და მატებს ღონეს.

ამიტომაც სპორტის სათანა- ოთ დაყენებას წითელ-ჯარში დიდესი ყურადღება უნდა ექცეს. განსაკუთრებით საჭი- ოა ეს ეხლა, ბანაკობის პე- იოდში, როცა წითელ-არმიე- ები დღე და ღამე სუფთა ჰაე- ზე იმყოფებიან. (ზაფხული პორტისათვის არის გაჩენილი). ს არ უნდა დაივიწყონ ჩვენ- ნაწილებმა და ენერგიულად ნდა მოკიდონ ხელი ფიზიკუ- ი კულტურის საქმის შესაფე- ისად დაყენებას.

თვით ინტერესი სპორტი- ადმი მეტად დიდია ჩვენს ნა- ილებში. ამას გველაპარაკება ვენ მრავალი კორესპონდენ- ციები ნაწილებიდან. მაგრამ სა- წუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ სპორტის საქმე ცუდათაა დაყენებული ჩვენს ჯარში. ღემდის არ იქმნა და ვერ მო- ერხდა წითელ-არმიელთა ფა- რთე მასის სპორტის სხვა და სხვა დარგში ჩაბმა. ამასთანავე რა ყველა ნაწილებში ექცევა მ ფრიად დიდი მნიშვნელო- ან საქმეს ყურადღება. მართა- ლია სპორტის განვითარებას დიდათ აფერხებს ხელმოკლეო- ბა, უსაღსრობა, სათანადო სა- სპორტო იარაღების უქონლობა, მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა სპორტის განვითარება მაინც შესაძლებელია. საჭიროა მხოლოდ სურვილი, ენერგია და თაოსნობა.

მეტად სასურველი და მიზან- შეწონილია, რომ ნაწილში ფეხი მოიკიდოს სპორტის სხვა და სხვა დარგებმა. ეს მეტის მეტად საჭიროა, ვინაიდან უფ- რო მეტი რიცხვი წითელ არ- მიელებისა ჩაბმული იქნება სპორტში. მასიური სპორტი წითელ ჯარში—აი ჩვენი ერ- თი ამოცანათაგანი.

როცა ყოველი წითელ არ- მიელი ჩაბმული იქნება სპორ- ტში, წითელი არმიის საბრძო- ლო უნარიც იშვიათ სიმაღლეზე იქნება დაყენებული.

ამიტომაც სასპორტო საქმეს დაუყონებლივ უნდა მიაქციონ ყურადღება და ეხლავე შეუდ- გენ მის ორგანიზაციას ბანაკ- ში. დრო არც ისე დიდია. სა- ჭიროა ამ საქმისათვის სწრაფად ხელის მოკიდება.

სამხკორებს მართებთ ფარ- თედ გააშუქონ ჩვენს გაზეთში, თუ როგორ არის დაყენებული მათ ნაწილში სპორტი და რა კეთდება ამ მხრივ.

ფართე გზა სპორტს ჩვენს წითელ ჯარში!

## ინგლისის ბურჟუაზიის შიში საფუძვლიანია!

ინგლისის მუშათა მოძრაო- ბის გამემარცხენეობა სწრაფად ვითარდება. გუშინდელი რა- დიო გვატყობინებდა, რომ მემარცხენეთა მოძრაობას მიე- კედლენ თვით ლონდონის პროფკავშირები.

ეს გარემოება მოსვენებას არ აძლევს ინგლისის კაპიტალის- ტებს და მათ რეაქციონურ მთავრობას. ინგლისის ბურჟუ- ებს არ მოსწონთ ინგლისის მუშების კლასობრივი გამოფხი- ზლება მისი რევოლიუციონური საქმიანობა, როგორც არის მუშათა მთლიანი ფრონტისათ- ვის ბრძოლა და ინგლისის იმპე- რიალიზმის წინააღმდეგ გალა- შქრება ჩინეთის ამბების გამო.

და როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში, ისე აქაც ინგლისის ბურჟუაზიამ დამნაშა ვეთ აღიარა „ბოლშევიკური ხე- ლისუფლება“. საბრალო კაპიტა- ლისტები! ყველგან, სადაც კი ფეხს წაიტეხენ, ბოლშევიკე- ბს სთვლიან მათი უბედურების მიზეზად.

ბოლშევიკებს კი არა ინგლი- სის მწარე სინამდვილეს: უმუ- შევრობას, სიღატაკეს, ბურჟუა- ზიის მტაცებლური იმპერიალი- სტური პოლიტიკას გამოყავს ინგლისის პროლეტარიატი რე- ვოლიუციონური, კლასო- ბრივი ბრძოლის ფართე გზაზე. რა საკვირველია ამ გარემოებას ხელს უწყობენ ბოლშევიკები. ჩვენ არ უარვყოფთ იმას, რომ საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების მაგალითი, მათი შე- მოქმედებითი მუშაობა დიდათ ხელს უწყობს ინგლისის მუ- შების რევოლიუციონურ გა- მოფხიზლებას.

საბჭოთა კავშირის მაგალი- თზე ინგლისელი მუშა რწმუნ- დება მასში, რომ პროლეტა- რიატს თვით შეუძლია საუც- ხოვოდ გაუძღვეს სახელმწიფოს და სოციალისტურ საფუძვლე- ბზე ააგოს მთელი ცხოვრება.

აი სწორედ ამ მხრივ ბოლ- შევიკები მართლადაც დამნა- შავენი არიან მასში, რომ თა- ვის გმირული ბრძოლის მა- გალითით ამხნევებენ ინგლი- სის პროლეტარიატს. რაც შე- ეხება ინგლისის შინაგან მინი- სტრის ხიგსის განცხადებას, თითქოს ბოლშევიკური აგენ- ტები მუშაობდენ ინგლისის პროფკავშირებში ეს მხოლოდ გაცოფებული კაპიტალისტე- ბის ავადმყოფი ოცნების ნაყო- ფია.

ბატონ ხიგს ამით სურს და- აშინოს ინგლისის მუშები, ხე- ლი აალებინოს მათ სოცია- ლიზმისათვის ბრძოლაზე. მაგ- რამ ტყუილი ცდებია. ინგლი- სის პროფმოძრაობის ერთ-ერთ ბელადთაგანმა მას ღირსეული პასუხი გასცა: „თქვენი მუქა- რას და ცილისწამებას შეუძლია მხოლოდ ერთი ან ორი სულმდაბალი შეაშინოს. ინგლისის მემარცხენეთა მო- ძრაობა ისახავს კაპიტალიზმის მოსპობას. და ეს ჩემს მიზან- საც შეადგენსო“.

ბრომლეის ამ სიტყვებს დღეს მტკიცედ გაიმეორებს ყოველი- ვე შეგნებული ინგლისელი მუ შა. მას უკვე ვერ შეაშინებს შინაგანი მინისტრის ვერავითარი მუქარა და დევნა.

ეს ესმის ინგლისის კაპიტა- ლისტურ კლასს და ამიტომ არის რომ აღამაღლა მუქარის ხმა.

ინგლისის მუშათა კლასი მტკიცედ სდგება შეურიგებელი რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე კაპიტალიზმის წინააღ- მდეგ და ვერავითარი ძალა და ვერავითარი რეაქციონური ხი- გსები ვერ დაახევინებენ მას უკან.

—ე.

## ახალი რადიო-ამბები

### ჩინეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობის გარშემო.

### ინგლისის პროფკავშირთა საბჭოს დეპეშა ჩინეთის მუშებს.

ინგლისის პროფკავშირთა მთავარმა საბჭომ დეპეშა გაუ- გზავნა ჩინეთის მუშებს, რომელთაც ესალმება ბრძოლის და- წყებისათვის საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ. პრო- ფკავშირთა საბჭო რწმენას გამოსთქვამს, რომ დღევანდელ ბრძოლაში იბადება ჩინეთში მუშათა მებრძოლი ორგანიზა- ცია, რომელიც შეჰქმნის დასავლეთისა და აღმოსავლეთის მოძრაობის მთლიანობას.

### ჩინეთის მოქალაქეთა მიტინგი მოსკოვში.

„შრაპნელებით და ტყვიამფრქვევებით ვერ დაიცავთ ბა- ტონობას“.

14 ივნისს გაიმართა მოსკოვში მყოფ ჩინეთის მოქალა- ქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი.

კომინტერნისა და იაპონიის კომპარტიის სახელით გამოვიდა ამხ. კატაიამა,

რომელმაც დაახასიათა თუ როგორ გადაიქცა შანხაის მუ- შათა გაფიცვები ინგლის-იაპონიის კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლად.

### ბრომლეის ღირსეული პოზიცია.

ხიკსის საპასუხო სიტყვაში ბრომლეიმ განაცხადა, რომ ხიკსის სიტყვას შეუძლია დააფრთხოს პროფკავშირის მხო- ლოდ მშიშარა წევრები.

მან განაცხადა: „მე კომუნისტი არავარ, მაგრამ კომუ- ნისტები ებრძვიან იმას, რასაც ჩვენ ვებრძვით. მემარცხენე უმცირესობის ორგანიზაცია სცდილობს კაპიტალიზმის განა- დგურებას. ეს ჩემი მიზანიც არის“.

## ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაცია ტფილისში.

### ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხანაში.

გუშინ ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაციამ დაათვალიერა ტფილისის სხვა და სხვა კულ- ტურული დაწესებულებანი. პირველ რიგში დელეგაციამ ინახულა ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხანა.

### ქარხანაში.

დელეგაციას ქარხანაში მიე- ძღვებიან ამხ. მარიამ ორახელა- შვილი, კიდაიში, ჯავაირა ხუ- ტულაშვილი და სხვები. აღ- ფრთოვანებულ მისალმებათა შემდეგ დელეგაცია ათვალიე- რებს ქარხნის ყველა განყოფი- ლებებს, ეკითხებიან მუშა-ქა-



მერი პერსელი.
ინგლისის ქალთა დელეგაციის წევრი.

ლებს მათი შრომის პირობების შესახებ და გამოსთქვამენ თა- ვის გაკვირვებას მუშა-ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესო- ბაზე.

ისინი აღნიშნავენ, რომ საბ- ჭოთა ქვეყნებში მშრომელი ქალები იმყოფებიან გაცილე- ბით უკეთეს პირობებში, ვიდ- რე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

### ბავშვებთან.

თამბაქოს ქარხანასთან დე- ლეგაციამ დაათვალიერა აგრე- თვე ბავშვთა ბაგაც.

დიდ დარბაზში, სადაც ბავ- შვები სცხოვრობენ ყველას არ შეუძლია შევიდეს. იქ შე- სასვლელათ საჭიროა უსათუ- ოდ თეთრი ხალათების ჩაცმა.

დელეგაციის წევრებიც იცვა- მენ თეთრ ხალათებს და შედიან დარბაზში. იქ არავინ არ არის მაგრამ მოისმის მხიარული ჟრი- ამული და დარბაზში შემოდიან პროლეტარული სახელმწიფოს მომავალი იმედი-ბავშვები.

გულწრფელი სიხარულისა და გახარების შემდეგ დელე- გაცია სტოვებს თამბაქოს ქარ- ხანას.

### სახელმწიფო უნივერსი- ტეტში.

ქალთა დელეგაციამ ესტუმ- რა აგრეთვე ტფილისის სა- ხელმწიფო უნივერსიტეტს, სა- დაც მათ შეეგებენ რექტორი პროფ. ჯავახიშვილი, პროფ. მელიქიშვილი, პროფ. კეკელი- ძე და სხვები.

პროფესორებთან დელეგა- ციის წევრებს ჰქონდათ ხან- გრძლივი საუბარი უნივერსი- ტეტისა და სამეცნიერო საქ- მის მდგომარეობის შესახებ საქართველოში.

## ფრიტიოფ ნანსენის გამგზავრება სომხეთში

გუშინ საღამოს ფრიტიოფ ნანსენი საერთაშორისო სა- ქველმოქმედო საზოგადოების დელეგაციასთან ერთად გაემ- გზავრა სომხეთში.

სომხეთში დელეგაცია დაა- თვალიერებს სხვა და სხვა რაი- ონებს და დაწესებულებებს.

დელეგაცია ფიქრობს დაეს- წროს აგრეთვე შირაქის არ- ხის გახსნას. სომხეთიდან ისინი დაბრუნდებიან ისევ საქართვე- ლოში.

# მოსკოვ-ჩინეთის საჰაერო ექსპედიციის შესახებ.

### მოსკოვ-ჩინეთის გადაფრენა დიდ ინტერესს იწვევს მშრომელთა შორის.

15 ივნისს ქალაქ ომსკში გაიმართა მიტინგები, რომლებიც მიძღვნილი იყო საჰაერო ექსპედიციისადმი.

მიტინგზე გამოდიოდენ შმიდტი, მფრინავები, მექანიკოსები, და პრესის წარმომადგენლები, რომლებსაც დიდის აღფრთოვანებით შეხვდენ.

განსაკუთრებით დიდი მიტინგი გაიმართა წითელ-არმიელთა ბანაკებში. დიდი ოვაციით შეხვდენ წითელ მფრინავს, მუშა პოლიაკოვს, რომელსაც მიჰყავს თვითმფრინავი იუნკერსი.

საჰაერო ექსპედიციის ომსკში მიფრენამ დიდი ინტერესი გამოიწვია ავიაციისადმი მშრომელთა შორის.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

## იტალიის ესკადრის ლენინგრადში მოსვლის შესახებ.

25 ივნისს ლენინგრადში მოვა იტალიის ესკადრა, რომელიც შესდგება სამი კრეისერისაგან: „ტიგრი," „პანტერა" და „ლეონი".

ლენინგრადში მოგზაურობა ამ კრეისერების პირველი პრაქტიკული ცურვაა.

კრეისერები შეიარაღებული არიან 8—5—დიუმიან ქვემეხით.

„ესკადრის ლენინგრადში მოსვლის მიზანია—განაცხადა იტალიის საზღვაო ატაშემ—საბჭოთა კავშირისა და იტალიის შორის მეგობრულ ურთიერთობის გაძლიერება".

ესკადრა დარჩება ლენინგრადში არა ნაკლებ 5 დღისა.

## იშვიათი სიდიდის თევზი.

მდინარე ვოლგას ჩასართავში დაჭერილ იქნა ზუთხი, რომლის სიგრძე უდრის 2 ნახ. მეტრს და წონა—11 ფუთს. ასეთი ზუთხის დაჭერა პირველი შემთხვევაა ასტრახანის თევზის სარეწაოებში.

# ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

## ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔ-3 ᲙᲝᲛᲣᲯᲠᲔᲓᲘ

კომუჯრედმა სკოლის ბიურო კოლექტივის სამუშაო გეგმასთან შეფარდებით შეიმუშავა თავისი საზაფხულო სამუშაო გეგმაც. მასში დაწვრილებით არის აღნუსხული ყველა ის, რაც საბანაკო პერიოდის განმავლობაში უნდა შეასრულოს უჯრედმა.

გეგმის განხორციელებას უკვე შეუდექით. მიღებულია ყოველგვარი ზომები მისი ცხოვრებაში გასატარებლად.

მიღებულია ზომები სოფლად მუშაობის საწარმოებლად.

უკვე გამოვყავით წარმომადგენლები, რომლებიც მიმაგრებული იქნენ ნაციონალურ სკოლების პარტორგანიზაციებზე.

ყოველ კვირაში პარასკეობით ხდება კომუჯრედის კრებები.

ამ უკანასკნელად მომხდარ კრებაზე გაკეთებული იქნა კოლექტიური ხასიათის მოხსენება საბჭოთა კავშირის საბჭოების მესამე ყრილობის შესახებ.

მომხსენებლები უმთავრესად შეეხენ ამხ. რიკოვის მოხსენებას საბჭოთა მთავრობის მუშაობის შესახებ და ამხ. ფრუნზეს მოხსენებას წითელ არმიაზე.

ბოლოს კრებამ განიხილა ამხ. დ. ჭავჭანიძის განცხადება პარტიის წევრად დამტკიცების შესახებ. შეკითხვები არ ყოფილა, რადგან ამხანაგს იცნობს მთელი ასეული როგორც პატიოსან და ენერგიულ მუშაკს. განხილული იქნა სხვა ამხანაგების განცხადებებიც და თითქმის ყველა დაკმაყოფილებული იქნა.

პარტკორი დ. ნამგალაძე.

## ᲐᲮᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

### არტლეგ. ახკომკავშირის ორგანიზატორთა თათბირი.

6 ივნისს არტლეგიონში შესდგა ყველა ბატარეიების ახკომკავშირის ორგანიზატორთა თათბირი, რომელზედაც უნდა გამომუშავებულიყო ორგანიზატორების ხელმძღვანელობის წესი ჯგუფებზე. პირველი მოხსენებით გამოვიდა ამხ. მამალაძე, და გაგვაცნო ყველა ის საკითხები, რომლიც გაირჩა არმიის უკანასკნელ პარტკონფერენციაზე და იქ გამოტანილ რეზოლიუციებსაც. ამის შემდეგ თათბირმა ჯამი გაუკეთა თავის ნამუშევარს, რამაც გამოარკვია, რომ მეტის გაკეთება იყო შესაძლებელი, რომ თავის დროზე ყოფილიყვნენ ორგანიზატორები გაცნობილი საჭირო ინსტრუქციებს.

ამან გამოიწვია დეფექტები მუშაობაში. გამომუშავებული იქნა ორგანიზატორებისათვის ჯგუფის სახელმძღვანელო წესები.

თათბირის წევრები იმ იმედით გამსჭვალული დაიშალენ, რომ მსგავს დეფექტებს, როგორიც გამოირკვა არმიის უკანასკნელ პარტკონფერენციაზე თავის მუშაობაში არ დაუშვებენ.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ.

## ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

### 8. ათეულისა და ოცეულის საბრძოლო მომზადება.

ჩვენს გაზეთში გაშუქებული იყო ათეულისა და ოცეულის მომზადების საკითხები ლაშქრული წესით მოძრაობის, დასვენებისა და შეტევითი ბრძოლის დროს.

დაგვრჩა გასაშუქებელი ბრძოლის ერთი სახე—**მოგერიებითი ბრძოლა**.

სანამ შეუდგებოდეთ ათეულისა და ოცეულის მოგერიების ამოცანებსა და მათი მოთავსების წესს, რომლებიც გამომდინარეობენ ამ ბრძოლის თავისებურობისაგან, საჭიროა გავაშუქოდ, რას წარმოადგენს საზოგადოდ მოგერიება და საჭიროა ის თუ არა, ხოლო თუ საჭიროა—რა შემთხვევებში.

მოგერიება სწარმოებს იმ შემთხვევაში, როცა ეს ხელსაყრელია ჩვენთვის მრავალგვარ მიზეზების გამო, მაგალითად: თუ მტრის ძალა ჩვენსაზე უფრო დიდია და ამიტომ საჭიროა გამოვიწვიოთ მტრის რიგებში არევ-დარევა ცეცხლით, ხოლო შემდეგ უნდა გადავიდეთ შეტევაზე; თუ რომ საჭიროა ამა თუ იმ უბანზე გააჩეროთ მტერი მცირე ძალებით და მეორე ადგილას შეკრებილი ძალებით მიაყენო მას სერიოზული ზარალი; და ბოლოს იმ შემთხვევაში, თუ რომ მტერმა თავის ძალების სიმრავლის გამო აიძულა ჩვენი ნაწილები გადავიდენ რამოდენიმე ხნით მოგერიებითი ბრძოლაზე.

ყველა ჩამოთვლილ შემთხვევებში მოგერიება დროებითი შეჩერებას წარმოადგენს, რომლის დროსაც უნდა ეცადო მიაყენო მტერს ცეცხლით რაც შეიძლება მეტი ზარალი, შეიტანო მის რიგებში არევ-დარევა და შემდეგ თვით გადახვიდე შეტევითი ბრძოლაზე.

აქ შეიძლება წამოიჭრას საკითხი: **რისაგან შესდგება ქვეითი ჯარის მოგერიებითი მოქმედება?** ქვეითი ჯარის მოგერიებითი მოქმედებაში შედის შემდეგი მომენტები: მტრის შემოტევისა და იერიშის შეჩერება ცეცხლით და კონტრ-იერიშის ჩატარება თავისი ცოცხალი ძალებითა და ცეცხლით.

ამ მიზნით (თავდაცვისათვის) ქვეითი ჯარი თავსდება მოსაგერიებელ უბანზე ისე, რომ ყველა ხელსაყრელი და მოხერხებული ადგილები (ზღვრები და წერტები) დაკავებულ იქნას ტყვიამფრქვევითა და არტილერიით; მოწყობილ უნდა იქნას განუწყვეტელი თვალთვალი წინმდებარე ადგილებზე და მასთან შესაძლებელი იყოს სროლის თავისუფალი წარმოება ყოველ მიმართულებით.

ყოველივე ეს გათვალისწინებულ უნდა იქნას მოგერიებისათვის უბნის ამორჩევის დროს, რის შემდეგ მოგერიებისთვის დანიშნული ზოლი იყოფა ოცეულისა და ასეულის საბრძოლო უბნებად.

ამასთან მსროლელი ოცეულები თავსდებიან მოგერიებისათვის იმ წესით, რომ წარმოადგენდენ მთავარ წინააღმდეგობისა და დაცვის ზოლს.

მთავარ წინააღმდეგობის ზოლი განირჩევა დაცვის ზოლისაგან იმით, რომ დამცველი ოცეულები გამოიყოფებიან წინ და მათი ამოცანაა უთვალთვალონ მთელ ადგილ-მდებარეობას, როგორც დაკავებულ ზოლის წინ, ისე მის შიგნითაც.

მთავარ წინააღმდეგობის ზოლში მოთავსებულ ოცეულების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ არ დაზოგონ სიცოცხლე და არ დაანებონ მტერს დაკავებული უბანი.

ი. ბარ.

# პარტ-აღმშენებლობის ამოცანები ტერნაწილის შეკრების დროს მე-2-ე დივიზიაში.

(გაგრძელება.)

**გეგმიან მუშაობაზე.**

გეგმიური მუშაობის გარეშე პარტიული მუშაობა ჯარში წარმოუდგენელია. პარტმუშაობის დარგი, რომ გეგმები არ დარჩეს შაბლონიურად აღნუსხვილი, მომავალი მუშაობის დროს ნაწილებს ურჩევთ, გეგმები იყოს მოკლე დროისათვის შედგენილი მაგ. ერთი თვით, როგორც უჯრედებისათვის. აგრეთვე ბ. კოლექტივებისათვის. გეგმის ამოწურვის შემდეგ, უჯრედებში უნდა კეთდებოდეს მოხსენება, თუ რა უარყოფითი და დადებითი მხარეები ქონდა გეგმას, და როგორ გატარდა ის. ამავე კრებაზედ უნდა ირჩეოდეს მომავალ თვის გეგმა. საფუძვლათ უნდა დაედოს ბ. კ. გეგმა უჯრედების გეგმებს, ბ.- კოლექტივისას კი პოლიტსამმართველოს და პოლიტგანყოფილების გეგმა: საერთო სახელმძღვანელო ამ შევსების დროს კი იქნება არმიის კომუჯრედების მდივნების თათბირის შედეგები.

მოგვიტანს თუ არა რაიმე შედეგებს სემინარები, რომელიც მოწყობილია პრეზიდიუმების და მდივნების გადამზადების მიზნით? ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი სემინარები ჩვენ მუშაობას საგრძნობლათ წასწევს წინ. უმეტეს შემთხვევაში სემინარები უნდა ატარებდეს ინსტრუქტორულ ხასიათს და თავის დღის წესრიგში აყენებდეს პრაქტიკული ხასიათის კითხვებს, რომელიც შედის პარტორგანიზაციის უახლოეს პერიოდის მორიგ ამოცანებში.

უჯრედების პრეზიდიუმების სემინარები უნდა ეწყობოდეს, ათასეულების შეკრების დროს, ათასეულის მასშტაბით, ბ.-კოლექტივის წარმომადგენელის თანდასწრებით.

მდივნების თათბირები უნდა ეწყობოდეს, როგორც ათასეულების აგრეთვე ლეგიონის მაშტაბით, როდესაც საჭიროება მოითხოვს.

**კავშირი ნაწილებთან.**

ერთად ერთი საშვალება, რომელიც შესცვლის ზედმეტი ქაღალდების მიმოწერებს არის ნაწილებთან ცოცხალი კავშირის აღდგენა. ფართე ასპარეზი და შესაძლებლობა გვექნება ჩვენ დავამყაროთ კავშირი ათასეულების შეკრების დროს. კავშირი უნდა ჩამოყალიბდეს პოლიტგანყოფილების —ლეგიონებთან და შეძლებისამებრ, ცალკე ნაწილების ძირითად ერთეულებთან, მეორეს მხრით კი ბ.-კოლექტივის, როგორც პოლიტგანყოფილებასთან აგრეთვე ცალკე ნაწილების კომუჯრედებთან. ცოცხალი კავშირები უნდა დამყარდეს ადგილებზე ხშირად მისვლით, მუშაობის დათვალიერებით, და გამოძახებით. ადგილებზედ მისული ზედა ორგანოს წარმომადგენელი უნდა ათვალიერებდეს ნაწილის მუშაობას, მხოლოთ მუშაობის იმ სფეროში რაც მას აქვს დავალებული და შედის მის მუშაობის ფარგლებში. მისული წარმომადგენელი ადგილზედ იწვევს ნაწილის პასუხის მგებელ მომუშავეების თათბირს და აცნობს გატარებულ მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებს. შემდეგ იწვევს პარტორგანიზაციის საერთო კრებას, სადაც აკეთებს ვრცელ მოხსენებას დათვალიერების შედეგებზედ და მის მიერ მიღებულ ზომებზედ. გაგზავნილი წარმომადგენელი, რომელმაც დაათვალიერა ნაწილები ადგენს წერილობით ანგარიშს და აკეთებს სიტყვიერ მოხსენებას იმ ორგანოში რომელმაც ის გაგზავნა.

ჩვენ დღემდი არ გვიწარმოებია მომუშავეების გამოძახება და სიტყვიერ მოხსენებების მოსმენა, ეს მხოლოთ აქა-იქ სწარმოებდა, მაგრამ ამას არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი. მომუშავის გამოძახება და მისი მოხსენების დასმა ბ/კ. სხდომაზედ ან და დივპოლიტგანყოფილებაში პოლიტთათბირზედ აუცილებლად მოიტანს დადებით შედეგებს. ნაწილში გაგზავნილ ერთ კაცს არ ძალუძს ყველა სფერო მუშაობისა გააერთიანოს და საერთო წარმოდგენა იქონიოს ნაწილის მთელ მუშაობაზე.

**დღის წესრიგი და მოხსენების ხასიათი.**

პარტიულ დღის მომზადების საკითხს შინა პარტიულ მუშაობის დროს აქვს უაღრესი მნიშვნელობა. უჯრედების დღის წესრიგების გამომუშავებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. არავითარ შემთხვევაში უჯრედების დღის წესრიგებში არ უნდა ისმებოდეს შაბლონიური ხასიათის კითხვები, როგორც არის ერთკვირეული მიმოხილვა გაზეთებიდან და სხ.

დღეს პარტიული კრებები იწვევა თვეში ორჯერ. პარტიის წინაშე არის აუარებელი კითხვები. გარდა ამისა ადგილობრივი ხასიათის კითხვები ისმება უჯრედებზე ძლიერ სუსტათ. ყოველთვის დღის წესრიგებში უნდა ისმებოდეს მომენტის შესახებ კითხვები.

დღის წესრიგები უნდა ცხადდებოდეს რამდენიმე დღით ადრე კრებამდი და უნდა იყოს ნაჩვენები კრება არის ღია თუ დახურული, და რა ხასიათის მოხსენება არის დღის წესრიგში, სახელმძღვანელო მასალების აღნიშვნით. მომხსენებლების შერჩევას რთულ თემებზედ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება; მომხსენებელი შეკითხვებისა და კამათის შემდეგ ადგენს გატარებულ მოხსენების გარშემო რეზოლიუციას, რომელიც უნდა შეათანხმოს კომუჯრედის პრეზიდიუმთან.

(გაგრძელება იქნება).

ნ. პატარაია.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲐ.

### 1. ქიმიურ ცოდნათა მნიშვნელობის შესახებ.

ბანაკად გასვლით მეომრები გადადიან სამხედრო საქმის თეორიულად შესწავლიდან პრაქტიკულად შესწავლასა და ზამთრის პერიოდში შეძენილ ცოდნათა მტკიცედ შეთვისებაზე.

სხვა ცოდნათა შორის ამ ხნის განმავლობაში მეომრებმა მიიღეს ის ცოდნაც, რომელიც არ ჰქონია „სალდათს" რევოლიუციამდი. განსაკუთრებით ეს ეხება ქიმიურ ცოდნას. რაში გამოიხატება ამ ცოდნათა განსაკუთრებული მნიშვნელობა

ცხადია, ყველ მეომარს ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ პირველ რიგში ეს ცოდნა დიდმნიშვნელოვანი და აუცილებელია მისთვის, როგორც მეომრისთვის, ომის დროს, ვინაიდან თანამედროვე ომი—ქიმიური ომია, რომელიც მოითხოვს მეომრისაგან არა მარტო თოფის სროლას, გრანატის ტყორცნას ან ხიშტის კვეთებას. ასეთი ცოდნით დღეს შორს ვერ წახვალ.

გამბედაობა და სიმამაცე აქ ვერ გვიშველის. მტრის ჰაეროპლანს, რომელიც ისვრის ბომბებს მომწამვლელი გაზებით სამი ვერსის და მეტი სიმაღლიდან, თოფითა და ქვემეხით ვერაფერს ავნებ, ხოლო მომწამვლელს გაზს ხიშტით ვერაფერს აწყენ. მაშასადამე მეომრის წინანდელი კარგი თვისებები დღეს არ კმარა.

დღეს იმარჯვებს არა ის, ვინც ფიზიკურად ღონიერია და ვისი ჯარიც მრავალრიცხოვანია, არამედ ის, ვისაც მეტი ცოდნა აქვს, ვინც მეცნიერულ-ტეხნიკურად უკეთ მომზადებულია, ვისი მეომარიც არა წინანდელი „ზარბაზნის ლუკმა", რომელიც მოძრაობდა ისე, როგორც უფროსები უბრძანებდა, არამედ სრულიად შეგნებული და გათვითცნობიერებული, რომელსაც კარგად ესმის რას აკეთებს, ე. ი. ცოდნით შეიარაღებული მეომარი, მხოლოდ ასეთი მეომარი არის ნამდვილი მეომარი, მხოლოდ ასეთი მეომარს შეუძლია გაუმკლავდეს ქიმიურ იარაღს, თავი დაიცავს მისგან და თავის მხრივ ზარალი მიაყენოს მტერს.

მეომრისათვის ასეთი ცოდნის აუცილებლობას დღეს დიდ ყურადღებას აქცევენ ყოველგან და ცდილობენ მოამზადონ ამ საქმეში თავიანთი მეომრები.

მაგრამ ყოველი მთავრობა, ამზადებს რა მეომარს და აიარაღებს ცოდნით, იმავე დროს იმასაც ითვალისწინებს, რომ მეომარზე ცოდნის მიცემა—ეს ნიშნავს მთელ ხალხზე ცოდნის მიცემას, ვინაიდან მეომრები ხომ ხალხიდანაა, ხოლო ეს ყველა მთავრობისათვის არ არის ხელსაყრელი. ამიტომ ბევრი მთავრობა ამზადებს თავიანთ მეომრებს იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მათი სარგებლობისათვის.

მაგრამ რას ღებულობს ასეთი ცოდნისაგან თვით მეომარი და მისი საშუალებით, მთელი ხალხი?

განვიხილოთ ეს საკითხი მთელი რიგ ქვეყნებში და პირველ რიგში ვნახოთ, თუ რას აძლევს ასეთი ცოდნა ჩვენს მეომარს.

ლ. ვორონოვი.

# წერილი ცვალებადელებს.

ამხანაგო ცვალებადელებო! ჩვენი მეხუთე ლეგიონის პირველი ათასეული ღირსეულად ემზადება თქვენს მისაღებად.

დასუფთავებული და სათანადოთ მორთული ჩვენი ყაზარმა მოგელით თქვენ. ძველი წითელი არმიელებიც გაფაციცებით ემზადებიან თქვენთან შესახვედრათ.

მე ამ წერილით მინდა მოკლეთ გაგაცნოთ წითელი ყაზარმისა და წითელ-არმიელთა ყოფა-ცხოვრება.

ჩვენ, ძველ წითელ არმიელებმა, სანამ ჯარში გამოგვიწვევდენ, არ ვიცოდით თუ რას წარმოადგენდა ყაზარმული ცხოვრება და როგორ ცხოვრობდენ წითელ არმიელებს. ბევრმა ჩვენთაგანმა წითელი არმიის ნაწილებში მოსვლის დროს არ იცოდა წერა-კითხვა, ძალზე ჩამორჩენილი იყო პოლიტიკურად და სხ.

მაგრამ ჩვენი ნაწილის უფ-პოლიტ-შემადგენლობის ენერგიული მუშაობით გამოვასწორეთ ყოველივე ზემოხსენებული ნაკლი და დღეს სიამაყით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ ღირსი ვართ ვატაროთ წითელ არმიელის სახელი და თუ საჭირო იქნება შეგნებულად დავიცავთ ოქტომბრის მონაპოვარს—მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

ჩვენ კარგათ გვაქვს შეგნებული წითელი არმიის აუცილებლობა დღევანდელ პირობებში, სანამ ჯერ კიდევ საბჭოთა რესპუბლიკები გარს შემორტყმული არიან კაპიტალისტურ სახელმწიფოებით, და სანამ იქაც არ მომხდარა სოციალისტური რევოლიუცია.

საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს მუდმივი ჯარის სისტემიდან ტერიტორიალურ ნაწილების მოწყობაზე გადასვლას, რომლის საშუალებით ძალზე შემცირდება სახელმწიფოს ხარჯები და არც ახალგაზრდობა მოწყდება თავის ოჯახს—და ყოველდღიურ მუშაობას.

ამხ. ცვალებადელებო! თქვენ ეხლანდელი გამოწვევით წითელი არმიის რიგებში დარჩებით სულ რამოდენიმე თვე.

ჩვენ ძველ წითელ არმიელებს, ღრმადა გვწამს, რომ ამ მცირე დროის განმავლობაში თქვენ სრული შეგნებით შეისწავლით მოცემულ პროგრამას, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში.

ვისურვებდით, თქვენში არ ჰქონდეს ადგილი მუშურ-გლეხური ხელისუფლების ღალატს, დაგემსახურებიოთ წითელი არმიელის ღირსეული სახელის ტარება და რევოლიუციის სადარაჯოზე ფხიზლად დგომა.

გაუმარჯოს თქვენს მოსვლას ყაზარმებში!

სალამი თქვენ ძველ წითელ არმიელებისაგან!

წ. არმიელი რუსპირელი.

# მიბაძეთ თელავის აღმასკომს.

### 6-ე ლეგიონის მე-3-ე ათასეული.

ცვალებადელებთან შეხვედრის სამზადისში დიდი დახმარება გაგვიწია ადგილობრივმა აღმასკომმა.

მან ავანსის სახით ათასეულის განკარგულებაში გადასცა 00 მანეთი სხვა და სხვა საგნების შესაძენათ. არა ნაკლები დახმარება აღმოგვიჩინა 64-ხე ცხენოსან ლეგიონმა, რომელმაც აღმოგვცა ყაზარმებისათვის შესაფერი ბინა. არა გვქონდა საჭირო ინვენტარი.

აღმასკომი დიდი ყურადღებით მოეკიდა ჩვენს ასეთ მდგომარეობას და ათასეულის საჭირო საგნებით უზრუნველყოფის მიზნით გაიღო ხსენებული თანხა. ფულის ერთი ნაწილი მოხმარდება საჭირო ინვენტარის შეძენის საქმეს, ხოლო მეორეთი კი მოეწყობა ათასეულის ლენინის კუთხე, რომელიც დიდ აუცილებლობას წარმოადგენს ჩვენთვის ახალწვეულების მიღების შემდეგ მაინც.

დიდი მადლობის ღირსია თელავის აღმასკომი, რომელიც ასეთი ყურადღებით მოეკიდა ცვალებადთა შესახვედრათ წარმოებულ სამზადისს. საჭიროა სხვა აღმასკომებმაც მიბაძონ მას.

სამხკორი დ. ჭანკვეტაძე.

# საჭიროა მიუდგომლად შემოწმება.

### მეექვსე ლეგიონი.

რამოდენიმე დღე იქნება მას შემდეგ, რაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე წავიკითხე, თითქოს ჩვენი ლეგიონის სასადილოში იაფად ამზადებენ სადილს.

ეს ამხანაგი გამოდის საერთო სახელით და ფარდას აფარებს სინამდვილეს. რად დასჭირდა მას სინამდვილის დაფარვა? რადგანაც დასწერა სასადილოს შესახებ უნდა ეთქვა მაინც ის რაც სინამდვილეშია.

პირიქით სადილი სხვაგან გაცილებით უფრო იაფია ვიდრე ჩვენთან. ჩემის ფიქრით ამხანაგს ამაზე უნდა მიეთითებია და მოეთხოვა სათანადო ზომების მიღება. საჭიროა გაუმჯობესდეს სასადილოს პირობები და მოგვეცეს შეღავათები.

ამას მოითხოვს ლეგიონის შემადგენლობის ინტერესები.

ეს უნდა ახსოვდეთ იმ ამხანაგებს, რომლებიც ლეგიონის ცხოვრების შესახებ სწერენ.

წით. მეთ. შაორელი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა

## ჩვენი საბანაკო საქმიანობიდან.

### პირველი არტლეგიონი.

ბანაკის მოწყობას დიდხანს არ მოსდომია ჩვენი ლეგიონი. 2 დღის განმავლობაში კარვები და სხვა საჭირო მოწყობილობა უკვე მზად იყო.

რამოდენიმე დღის შემდეგ ლეგიონის პირველი საველე ბატარეია და არტსკოლის საველე მწყობრი გავიდენ სროლის საწარმოებლად.

თავიდანვე მწყობრად დაიწყო ლეგიონში მეცადინეობა და ასეთივე წესით მიმდინარეობს ამ ჟამადაც. არმიელები და განსაკუთრებით ახლად გამოწვეულები დიდი ინტერესით ეკიდებიან, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ სწავლებასაც.

მეთაურთა და პოლიტშემადგენლობა ხალისით ეკიდება მათი გაწვრთნის საქმეს.

ჯერ-ჯერობით ბანაკი როგორც ახალს ისე ძველ შემადგენლობაზე კარგად მოქმედებს.

ახალწვეულები მალე ამოგვიდგებიან თავისი ცოდნით გვერდში და ვიმედოვნებთ ისეთივე რწმენით შეუდგებიან მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვისათვის მზადებას, როგორც ძველი წ. არმიელები.

წ. არმ. ვ. ლოლომაძე.

## ხშირად ასეთი პოლიტ-ანკესები.

პირველ ლეგიონის ბანაკათ გასვლისთანავე ჩვენი მერვე ასეულიც კარგათ მოეწყო ბანაკში. უკვე ყველაფერი თავის რიგზეა. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს, როგორც პოლიტიკური, ისე სამწყობრო.

უკანასკნელ დღეებში ჩვენი ასეულის უფ-პოლიტშემადგენლობამ მოაწყო პოლიტ-ანკესი წითელ-არმიელთათვის, რასაც უკანასკნელები დიდის აღფრთოვანებით შეხვდენ. ყოველ კითხვაზე იძლეოდენ დამაკმაყოფილებელ პასუხს.

პოლიტ-ანკესის დასრულებისას დაჰბერა ქარმა და შემდეგ დაიწყო წვიმა. ჩვენ დაწუწულები ერთი მეორეს დავსცინოდით.

ასე ამ რიგათ საერთო სიხარულით დასრულდა პოლიტ-ანკესი.

დიდ მადლობას უძღვნით ჩვენი ასეულის უფ-პოლიტ-შემადგენლობას, რომლებიც არავითარ ენერგიას არ ზოგავენ წითელ-არმიელების გათვითცნობიერებისა და ასეულის ყოველგვარ მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლად.

ამასთანავე ერთად ვუსურვებთ მათ ხშირად მოეწყოთ ჩვენთვის ასეთი ნაყოფიერი და დამაინტერესებელი პოლიტ-ანკესები.

წ.-არმ. ლევ. აბრამიშვილი.

## მესამე ლეგიონის საბანაკო ცხოვრებიდან.

მიუხედავათ იმისა, რომ ლეგიონს ერთდა იმავე დროს მოუხდა საბანაკო ცხოვრების მოწესრიგება და ახალწვეულების მიღებაც, მაინც შევსძელით მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. პირველ ხანებში საშინელ კრიზის განვიცდიდით სამზარეულოს უქონლობის გამო, რაც ამ უკანასკნელ ხანებში შედარებით მოგვარებული იქნა. წითელ-არმიელთა კმაყოფა კარგად არის დაყენებული. სადილ ვახშამი და სხვა როგორც სარწმუნო წყაროებიდან სჩანს ასეთივე კარგი გვექნება ბოლომდე. ამ მხრივ სამნეო ნაწილს მადლობის მეტი არა ეთქმის რა.

**პარტ-საქმიანობა.**

ახალწვეულთა რიგებმა ბევრი პარტიული ამხანაგი შეგვძინეს ლეგიონში. ბიურო კოლექტივის მთელი ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია იქეთკენ, რომ ეს ამხანაგები ჩააბას პარტ-სააღმშენებლო საქმიანობაში.

ეწყობა პოლიტხელთა საინსტრუქციო თათბირები, თუ როგორ უნდა მიუდგენ ახალწვეულების აღზრდასა და მათთან მუშაობას. ამ მიზნით შემუშავებული იქნა წინასწარ გეგმა და მისი მიხედვით დაიწყება მუშაობა.

**საკავშირო მუშაობა.**

ლეგიონს თავიდანვე ჰქონდა საშეფო კავშირი სოფ. წყალტუბოსთან. რამდენადაც შესაძლებელია ეს კავშირი არც ბანაკად გასვლის შემდეგ შესუსტებულა, ამასთანავე განზრახულია ავიყვანოთ ჩვენი მზრუნველობის ქვეშ ჩვენს მახლობლად მოთავსებული სოფელი.

საკავშირო კომისიას შემუშავებული აქვს გეგმა, რომლის მიხედვით ახალწვეულები ვალდებული ხდებიან გააკეთონ შესაძლებლობის ფარგლებში მოხსენებები თავიანთი სოფლების მდგომარეობის შესახებ. ამას ორნაირი სარგებლობა მოაქვს: პირველი-ვეცნობით სოფლების საჭიროებებს და მეორე მოხსენებებში გამოირკვევა ახალწვეულების ცოდნა; ამის მიხედვით ისინი ჩათრეული იქნებიან შესაფერ სამუშაოებში.

სამხკორი გ—ტი.

## შრომის დეზერტირი ჩვენ არ გვესაჭიროება.

პირველ ლეგიონში მსახურობს მემანქანე ქალი, რომელიც სულ მუდამ ჯამაგირის მომატების ლაპარაკშია: „ამდენი საჭიროება მაქვს ნუ თუ ჯამაგირს არ მომიმატებენო“?

აღნიშნული მემანქანე სულ ჯამაგირების მომატების ფიქრშია და ამ ფიქრით გატაცებული ხშირად 10-11 საათზე მობრძანდება სამსახურში და თუ საქმე არ მისცეს, ის ადგება და კვლავ მიდის სადღაც, ალბათ სასეირნოთ და შემდეგ დაბრუნდება. ასე რომ, ჩვენი მემანქანე ქალი სეირნობას უფრო მეტ დროს ანდომებს, ვიდრე მუშაობას.

ამის გამო შტაბის შემადგენლობა იძულებული არის რაიმე საქმე ხელით დაესწრონ, ანდა თითონ დაბეჭდონ. ხშირად, ამ მემანქანე ქალის იქ არ ყოფნის დროს, საქმეებს აბეჭდინებენ მეორე მემანქანეს, რომელიც ისედაც ძალზე დატვირთულია ნაწილის საქმეებით.

ასეთი მოქმედება ყოვლად დაუშვებელია. საჭიროა ამას მიაქციონ ყურადღება ვისაც ეს ეხება და ასწავლონ მემანქანე ქალს, თუ როგორ უნდა იმსახუროს.

სამხკორი ილორი.

## შეჯიბრი სროლაში.

### პირველ ქართულ ლეგ. გაიმარჯვა.

შაბათს 13 ივნისს პირველ ქართულ მსროლელ ლეგიონს, კავკასიის არმიის მეცხრე მსროლელ ლეგიონთან ჰქონდა სროლითი შეჯიბრება.

პირველ ლეგიონმა გამოყო მეშვიდე ასეული რომელიც უნდა შეჯიბრებოდა მოწინაამდეგე ლეგიონის მეშვიდე ასეულს.

დილიდანვე დიდის სიფრთხილით დაუწყეს თოფებს წმენდა წითელ არმიელებმა. უსვამდენ ლულაში საწმენდებს და დაღიღინებდენ ზედ.

გასწმინდეს და გაასწორეს ტყვიამფრქვევი „მაქსიმის“ სისტემის და „ლუისა“. დილის—9 საათზედ ლეგიონი მუსიკით გაემართა საგარნიზონო სასროლ ველისაკენ. ერთმანეთის მისალმების შემდეგ ორივე ნაწილები გაუბედავათ უცქეროდენ ერთმანეთს. მსროლელი წითელ-არმიელები თვალს არ აცილებდენ სამიზნო ფიცრებს და ელოდენ განკარგულებას სროლის დაწყებისათვის. სროლაში სახელგანთქმულ მეცხრე ლეგიონს, მთელ თფილისის გარნიზონში თითქოს კიდეც ეშინოდა დამარცხებისა.

მებუკემ მისცა ნიშანი. მსროლელები მივიდენ ცეცხლის ხაზზედ. სუნთქვა შეწყვეტილებმა ამოიღეს მიზანი და ასტყდა სროლა. მსროლელებზედ უფრო გაორკეცებულად სცემდა მაცქერალი წითელ-არმიელების გულები.

გათავდა სროლა. მსროლელები გამოვიდენ ცეცხლის ხაზიდან. სროლა იწყება ტყვიამფრქვევ „ლუისიდან“. გასინჯეს მიზნები და აღმოჩნდა. პირველი ლეგიონს დაეზიანება 8 კუბიკი. მეცხრეს 6 კუბიკი.

სროლა ტყვიამფრქვევ მაქსიმიდან: პირველ ლეგიონმა დააზიანა 20 კუბიკი. მეცხრემ 4 კუბიკი. ამის შემდეგ კომისიამ გასინჯა თოფის ნასროლი და საერთო ჯამი მორტყმებისა მთელი შეჯიბრით აღმოჩნდა: პირველ ლეგიონმა მე-9-რე ლეგიონს აჯობა 35 პროც. (საერთო ცნობებს ახლო მომავალში გამოაქვეყ. არმია.) მუდამ გამარჯვებას მიჩვეულმა მეცხრე ლეგიონმა მოიწყინა. პირველ ლეგიონს მიესალმა ლეგიონის თავი და უსურვა, რომ ასეთი გამარჯვებები მას მტერთან ჰქონოდეს. სამსახურის სახით მადლობა გადაუხადა მეშვიდე ასეულის მთელ შემადგენლობას. დაბოლოს მეცხრე ლეგიონის ბანაკში გასვლისას ორთავე ლეგიონმა ერთმანეთი „ვაშა“-და-„ურას“ ძახილით გააცილეს.

სამხკორი შ. თელია.

## ესეც სადალაქოა!

მეხუთე ლეგიონს სადალაქო აქვს გახსნილი ერთ პატარა ოთახში, სადაც 3-5 კაცი ძლივს ეტევა, რის გამოც დალაქი დიდ გაჭირვებას განიცდის, მუშაობის დროს.

დალაქობას ასრულებს ერთი წითელი არმიელი, რომელსაც სადალაქო თავის დროზე ყოველთვის ღია აქვს. მაგრამ რად გინდათ დალაქი, როცა მას ხელსაწყოები არა აქვს. წვერის მოსაპარსი სამართებლები პირდაპირ საყასბო დანებს გვანან-გაულესაობით.

წვერის გასაპარსად მისული წითელი არმიელი ლოყებით და კისერით დასისხლიანებული გამოდის გარეთ, რასაც შეუძლია მოწამლოს ისინი.

მიაქციეთ ყურადღება ამ მოვლენას და მიეცით დალაქს კარგი და მჭრელი სამართებლები.

სამხკორი რუსპირელი.

# უდისციპლინობას აქვს ადგილი.

**5-თე ლეგ. 3-მე ათასეული.**

ათასეული დიდ იმედებს ამყარებდა იმ ამხანაგებზე, რომლებმაც დაამთავრეს დივიზიის უნცროს მეთაურთა სკოლა და მოვლენილი იქნენ ჩვენთან.

სამწუხაროთ ზოგიერთი ამ ამხანაგებიდან ვერ ამართლებენ იმედებს. იმის მაგივრად, რომ თავისი ყოფა ქცევით სანიმუშონი ყოფილიყვენ, რევოლიუციონური დისციპლინის დაცვის საქმეში, პირიქით ისინი სულ წინააღმდეგი საქციელით მოგვევლინენ. ისინი არა თუ დისციპლინის, უდისციპლინობის მაგალითის მაჩვენებელი არიან არმიელებისათვის.

შეუძლებელია ისე გააკეთონ რაიმე საქმე, რომ კარგა ხანს არ იყოყმანონ. ყველაფერი ეზარებათ. სამაგიეროდ მარჯვედ არიან თუ სეირნობაზე მიდგა საქმე.

არა ერთხელ მიუღიათ ამ ამხანაგებს სათანადო სასჯელიც ასეთი საქციელის გამო, მაგრამ გამოსწორება მაინც არ ემჩნევათ. საჭიროა უფრო გადამჭრელი ზომები მათ წინააღმდეგ, რათა ბოლო მოეღოს უდისციპლინობას.

სამხკორი ვასო.

# სამხკორთა მუშაობა გამოცოცხლდა.

**2-რე ლეგ. მესამე ათასეული.**

ამ ბოლო ხანებში ჩვენს ათასეულში ცოტად გამოცოცხლდა სამხკორთა შორის მუშაობა. გარდა ამისა სამხკორთა რიცხვიც შესამჩნევად გაიზარდა.

უმეტესად წითელ არმიელები არიან დაინტერესებული ამ საქმით და გარდა იმისა, რომ ვაწარმოებთ სამხკორთა წრის მეცადინეობას, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივ კედლის გაზეთში.

წრე სისტემატიურად აწარმოებს მუშაობას. საერთოთ სამხკორთა კრებები იწვევა თვეში ორჯერ, რომლებსაც ყველა წევრები და დაინტერესებული არმიელები ბლომად ესწრებიან.

ჩვენთან წარმოებული მუშაობა იმის თავდებია, რომ შევსძლებთ პირნათლად შევასრულოთ პატიოსანი პრესის მომუშავის მოვალეობანი.

სამხკორი წიწაკა.

# სამხკორთა წრეს სძინავს.

**მესამე ლეგიონი.**

ლეგიონში მრავალი ხასიათის წრეებია. რომ იკითხოთ გეტყვიან, რომ აქ არსებობს: სამხკროთა, ლიტერატურული, დრამწრე, სამხედრო საქმის შემსწავლელი, სანწრე, ურწმუნოთა და სპორტიული წრე. სამწუხაროდ ეს წრეები არსებობენ მხოლოდ სიტყვით, ნამდვილად კი გარდა სპორტიული წრისა არც ერთში არაფერი კეთდება. განსაკუთრებით ითქმის ეს სამხკორთა წრეზე. ამას მოწმობს ლეგიონის ცხოვრების პრესაში გაუშუქებლობა. ლეგიონს არა ყავს სამხკორთა საკმაო რიცხვი, ხოლო თუ ვინმე არის იგიც უფ-პოლიტშემადგენლობიდან, ხოლო წითელ არმიელებიდან თითქმის არავინ.

ერთის მხრივ ეს იმის მიზეზიც იყო რომ ლეგიონში არ გვყავდა წითელ არმიელები, მაგრამ ამ ჟამად, როდესაც უკვე წითელ არმიელებიც ბლომად არიან თავმოყრილი, საჭირო გაჩაღდეს მუშაობა. წითელ არმიელები რაც შეიძლება ბლომად უნდა იქნენ ჩათრეული მუშაობაში და მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ლეგიონის ცხოვრების სისტემატიურად გაშუქება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ეს საქმე დაყოვნებას არ მოითხოვს. საჭიროა მუშაობის გამოცოცხლება და სამხკორთა წრის ხელმძღვანელსაც აქეთკენ მოუწოდებთ.

სამხკორი ტ. კაკო.

# სამხკორთა მუშაობა ჩვენთან.

მეხუთე ლეგიონის მესამე ათასეულში სამხკორთა მუშაობა თანდათან წინ მიიწევს და დგება თავის სიმაღლეზე. სამხკორთა მუშაობაში ჩაბმულია ათასეულის წითელ არმიელთა უმრავლესობა.

ხსენებულ ათასეულში უკვე ჩამოყალიბებულია სამხკორთა წრე, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობს არჩეული პრეზიდიუმი, სამი კაცისაგან შემდგარი.

ათასეულის სამხკორები სისტემატიურად აწვდიან კორესპონდენციებს ნაწილის ყოფა-ცხოვრების შესახებ, გაზ. „წითელ არმიელს"-ა და ათასეულის კედლის გაზეთებს.

სამხკორი ყულისკარელი.

# სიმართლის აღსადგენათ.

გაზეთ „წითელი არმიელი"-ს № 129-ში მოთავსებულია ამხ. „მ.—ლი"-ს წერილი, რომლის სათაურია: „ყურადღება ასეთ მოვლენას".

ამხ. „მ—ლი" თავის წერილში ბრალსა მდებს მე, თითქოს, პირველი ლეგიონის სკოლის კურსანტებისაგან მომებოჭოს ფული მათთვის ნიშნების საყიდლად და ფული უკვე გამეფლანგოს. გარდა ამისა წერილის ავტორი ბრალსა მდებს, თითქოს მე სკოლაში მემართოს ყველას ფული. არც პირველი და არც მეორე ბრალდება სიმართლეს არ შეეფერება.

კურსანტებისათვის ნიშნების საყიდლად ჯამაგირებიდან ფულის დაკავება მოხდა უფროსების ბრძანებით. სკოლის უფროსმა ფული გადმომცა მე, როგორც სკოლის მამასახლისს და დამავალა მეყიდა კურსანტებისათვის ნიშნები. დავალება შევასრულე და სკოლის ყველა კურსანტს ნიშნები ჩავაბარე. იმავე დღესვე ნიშნების ნაყიდობის ანგარიში გადავეცი სკოლის უფროსს.

რაც შეეხება მეორე ბრალდებას, მართალია მქონდა სკოლის მეთაურების ვალი, ერთის ერთი მანეთი და ორის თითო აბაზი, რაც გავისტუმრე ჯამაგირის მიღებისთანავე.

პირველი ლეგ. სკოლის მამასახლისი **მ. ტაბატაძე.**

# ტყის მნიშვნელობა.

ტყით დაფარულ ფერდობზედ მოსული თოვლი და ავდარი რჩება იმ ადგილას, სადაც ჩამოდის, მინდვრებიდან ნამქერით წამოღებული თოვლი ტყეში ჩამოდის და რჩება, და ამგვარად ტყე ხშირად აგროვებს თოვლს. ტყეში თოვლი ნელა და თანდათანობით დნება, ვინაიდან მზის სიცხის სწრაფ მოქმედებას ანელებს ხეებისა და ტოტების ჩრდილი. საერთოთ აღნიშნულია, რომ ტყეში თოვლი ორი-სამი კვირით უფრო გვიან დნება ვიდრე მოტიტვლებულ ადგილზედ. დამდნარი თოვლის წყალი ნიადაგში იწრიტება და მას წყლით ამდიდრებს. დამდნარი წყალი ჯერ ნაყარ ფოთოლსა და ხმელ ჩინჩხვარსა ჰჟღენთავს და შემდეგში ნიადაგისაკენ იკვლევს გზას. ხვდება რა ფხვიერ ნიადაგში, წყალი თავისუფლად იწრიტება ფესვებისაკენ და ამ გვარად ტყეში ჩამოცვივნული თოვლის წყლის უმეტესი ნაწილი ტყეშივე რჩება. ეს ამოდენა წყალი ტყესა სჭირია ხეების ფოთლების ასაორთქლებლად ზაფხულობით, ზედმეტი წყალი კი ჰკვებავს წყაროებს.

წვიმის დროს ტყეში ჯერ ფოთლები და ტოტები იჟღინთება წყლით და შემდეგ ნიადაგს ეცემა, სადაც იწყებს ჩაჟონვას. კოკისპირული წვიმა, რომელიც მავნებელია მოტიტვლებულ ალაგებში და საზიანოა ხოლმე — ამ ალაგებში და საზიაშია, ტყით შემოსილ დაქანებაზედ ამგვარი წვიმა არავითარ ვნებას არ აყენებს, ვინაიდან გზაში ნიაღვარს ათასი დაბრკოლება ხვდება.

ძალიან დიდ ავდარს, რასაკვირველია, ვერც ტყე გაუძლებს, მაგრამ ნიაღვარის ძალას ტყე დიდ წინააღმდეგობას უწევს. ხის ფესვები, ჯიგვნაირი მაგრად არიან თავიანთი ფესვებით მიკრობილი ნიადაგზედ და ნიაღვარის წყლით გადარეცხვა მეტად ძნელია. წვიმის გადაღების შემდეგ ტყეში ფოთლებზედ და ტოტებზედ შეხვედრებული ცვარები სცვივიან და ნიადაგს რწყავენ. ამ გვარად მთიან ადგილას ტყეს დიდი სარგებლობა მოაქვს ნიაღვარის ძალის შესუსტებით, ნიადაგის გადარეცხვის შენახვით, ქვიშისა და სილით ბარში მდებარე მინდორ-სოფლების წალეკვის აცილებით.

მთაში ტყე ავდრის წყალს თანდათანობით ხარჯავს და დიდის ეკონომიით აწოდებს ბარში მდებარე ადგილებს. გავიხსენოთ თბილისში გაშენებული ეგრედ წოდებული ხუდადოვის ტყე. უწინ იქ რაიმე წყალის ნიშანიც კი არ იყო. ეხლა კი, მიუხედავად იმისა, რომ ტყე მეტად თხლადაა გაშენებული, წყაროებმა ჩქეფვა დაიწყეს.

უფრო მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ტყეს, როდესაც იგი მთიან ადგილზე იზრდება და მეტად გასაფრთხილებელია ის ტყე, სადაც ნიადაგი ქვიშიანია, ან თიხიანი და ისეთი, რომელიც ადვილად ირეცხება. იმ ადგილას, სადაც ტყე გაიჩეხა და ახალი არ გაშენდა, დიდი ვნების მოყენება შეუძლია—გაზაფხულობით შემაწუხებელი წყალდიდობა და ზაფხულობით წყაროების დაშრობა. ბარის ტყეს ამ მხრივ ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ გვარი ტყის გაკაფვასაც დიდი ზარალი შეუძლია მიაყენოს: სამხრეთ-რუსეთში უტყეობის მიზეზით მფრინავი სილით დაიმარხა ნოყიერი შავი მიწის დიდი სივრცე. ტყე თავის თავად ქვეყნის სიმდიდრეს წარმოადგენს. ტყე იხმარება სათბობ და საამშენებლო მასალათ. ტყეებს მოკლებული ქვეყნები იძულებულნი არიან უცხოეთიდან შემოიტანონ ხე-ტყე. ქვეყნიერებაზედ ტყით დაფარული სივრცის სიდიდე თანდათანობით მცირდება და მრეწველობის მოთხოვნილება ხე-ტყეზედ კი დღითი-დღე იზრდება, ამიტომ ფასი სატყეო მასალაზედ თანდათანობით მატულობს და ძვირდება. ხის მერქნიდან თანამედროვე ტეხნიკაში, მზადდება სპირტი, ძმარი, აბრეშუმი, ქაღალდი და სხვა

მრეწველობა და ტეხნიკა საშინელის სისწრაფით ვითარდება და კაპიტალისტები გაფაციცებით დაეძებენ ტყეებს. საქართველო მდიდარია ტყით და სწორედ ტყე თავის მჩქეფარე მდინარეებით და ფერებით ასეთ ტურფათა ჰქმნის ჩვენს ქვეყანას. მეცნიერი ეკონომისტები დიდ მომავალს უქადიან იმ ქვეყნებს, რომელთაც აქვთ ტყე. ჩვენი წმინდა მოვალეობაა გაუფრთხილდეთ ტყეს, მოუაროთ მას და მით ჩვენი კეთილდღეობა მტკიცე ნიადაგზედ დავაყენოთ.

გ. ბარნაბიშვილი.

# ახალი ამბები.

— **ახალწვეულების შესახვედრათ** წითელი არმიისა და ფლოტის სახლში გაიმართება დიდი საღამო წარმოდგენები.

— **დღეს მოხდება** სკოლის გარეშე მუშაკთა გამოშვება ქართული ჯარის საარტილერიო ლეგიონში.

— **ტფილისის სამაზრო** პოლიტგანყოფილებამ გამოყო 14 მასწავლებელი ახალწვეულ ცვალებად შემადგენლობაში წერა-კითხვის სალიკვიდაციო მუშაობის ჩასატარებლათ.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

# განცხადებები

## ვის აქვს საწინააღმდეგო.

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 3-მე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში კანდიდატად შემოსვლის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. ბრეგვაძე, ლეონტი კოსტას-ძეს ქუთაისის მაზრის, ხრესილის რაიონის სოფ. ძიროვნის მცხოვრები.
2. ჩხიკვაძე, გიორგი ოქროპირის-ძეს ქ. ქუთაისის მარდალეიშვილის (ივანოვის) ქუჩა № 17-ში მცხოვრები.
3. ქოჩიაშვილი, სიმონი ივანეს-ძეს შორაპნის მაზრის სოფ. თერჯოლაში მცხოვრები.
4. კეკელიძე, ლევან ვლადიმერის-ძეს, ოზურგეთის მაზ. სოფელი იანოვულის მცხოვრები.
5. მახარაძე, ალექსი სეფეს-ძეს ოზურგეთის მაზრის, სოფელ უჩხუშის მცხოვრები.
6. დარჩია, გერასიმე კონსტანტინეს-ძეს ოზურგეთის მაზრის სოფ. გურიანთას მცხოვრები.

(ჩამოთვლილი ამხ. უპარტიოებია)

7. კობახიძე, მიხეილ სიმონის-ძეს, რაჭის მაზრა სოფ. ხოტევის მცხოვრები.
8. ფაცურია, იორდან ნიტიფოს-ძეს ოზურგეთის მაზრის სოფელ ჯუმათის მცხოვრები.

(ეს ამხ. კომკავშირის წევრებია)

ზემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების კომპარტიაში მიღების შესახებ თუ ვინმეს აქვთ რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ მოგვაწოდოთ ორი კვირის განმავლობაში, შემდეგი მისამართით: **ქ. სურამი ქართ. გაერთ. მეთ. სამხ. სკოლა. № 3-მე კომუჯრედის ბიურო.**

**პრეზიდიუმი.**

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის 1-ლ ასეულის კომუჯრედში აქვს განცხადება შემოტანილი ამავე ასეულის წ. მოლაშქრე ღვინერია, ვლადიმერ გაბრიელის-ძეს, პარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ. აღნიშნულ ამხანაგზე თუ ვისმეს მოეპოება რაიმე საწინააღმდეგო ცნობები გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: **1-ლ ლეგიონის ბანაკი 1-ლ ასეულის კომუჯრედი.**

ქართულ გაერთიანებულ მეთ. სკოლის 3-მე ასეულის ახ. ლ. კ. კავშირის ბიუროში შემოტანილი აქვთ განცხადებები ახ. ლ. კ. კავშირში წევრად შემოსვლის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. ვაჩნაძე, სიმონ გიორგის-ძეს.
2. ჩარკვიანი, შალვა ერმილეს-ძეს.
3. ტოჩილაშვილი, ზაქრო ალექსის-ძეს.
4. შიოშვილი, ლევანი იასონის-ძეს,
5. შიოშვილი, პანტელიმონ შიოს-ძეს.
6. ვაშაკიძე, აკაკი ანდრიას-ძეს.
7. კვარაცხელია, ავთანდილ ანდრიას-ძეს.
8. ჩიკვაიძე, ნიკოლოზ ივანეს-ძეს.
9. ხაჩატუროვი, გიორგი ალექსანდრეს-ძეს.
10. შავლაძე, იაკობ თადეოზეს-ძეს.
11. ასათიანი, ვახტანგ მიხეილის-ძეს.
12. ლებანიძე, შალვა დიანოსის-ძეს,
13. თოფურია, მიხეილ ანდრიას-ძეს.
14. ბაქრაძე, ალექსანდრე ილაკრის-ძეს.
15. შავლიაშვილი, ალექსი იროდიონის-ძეს.

თუ ვისმეს მოეპოვება რაიმე საწინააღმდეგო აღნიშნულ ამხ. ახ. ლ. კ. კავშირში წევრად მიღების შესახებ, გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები შემდეგი მისამართით: **ქ. სურამი სოფ. ჩუმათელეთი, ქართ. მეთ. სკოლის 3-მე ასეულის ახ. ლ. კ. კავშირის ბიუროს.**

**ტფილისის და მისი რაიონების მცხოვრებთა საყურადღებოდ**, რომ 15-დან 19 ივნისამდი ყოველდღიურად ნავთლუღ-ვაზიანის გადასარბენზე, ავლაბრის ტბის რაიონში ჯავშნიან მატარებლების მე-7 დივიზია აწარმოებს ქვემეხების გამიზნას (სროლას), ხოლო 22-დან 27 ივნისამდი იმავე ადგილზე ხსენებულ დივიზიონის მიერ იწარმოებს სამოსწავლო-სატყვიამფრქვევო სროლა.

ქალაქის კომენდანტის თანაშემწე **გეგელაშვილი.**

ადმინ.-სამნეო განყ. უფროსი **ნაკაშიძე.**